თბილისის “დინამო” იბრძვის ჩემპიონობისთვის

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 16 სექტემბერი.

სკა (როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:2 (1:0).

სკა: ივანოვი (გლუხოტკო), ჩერტკოვი, კაზაჩეკი, გლუშჩენკოვი, აფონინი, ესკოვი, კუჩინსკასი, მატვეევი, პონედელნიკი, დორონინი, კოპაევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი: ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ჩემპიონობისთვის მებრძოლ ორივე კოლექტივს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ მატჩის მნიშვნელობა. აქ მოპოვებული ორი ქულა მწვანე ქუჩას უხსნიდა გამარჯვებულ გუნდს. ამიტომაც ადგილი არ ქონია არავითარ დაზვერვას. მსაჯის სასტვენისთანავე მოწინააღმდეგენი ენერგიულად ეკვეთნენ ერთმანეთს და მოედანზე გაიმართა ნამდვილი დიდი ფეხბურთი. მართალია, კარში პირველი დარტყმა ბარქაიამ განახორციელა, მაგრამ თითქმის იმავე წუთში სახიფათო გარღვევაზე გასულ მატვეევის ბურთი თბილისელებმა კუთხურზე მოიგერიეს.

პირველი 15 წუთის განმავლობაში იგრძნობოდა მასპინძელთა ერთგვარი უპირატესობა, და მაინც გ. სიჭინავამ ამ პერიოდში განახორციელა კარში შორიდან ორი ძლიერი დარტყმა, რამაც როგორც ჩანს, როსტოველები დააფიქრა ეზრუნათ საკუთარი კარის მისადგომების უვნებელსაყოფად, რაც თბილისელთა იმედიან დასაწყისს ნიშნავდა. თამაში ჯერ გათანაბრდა, შემდეგ ერთნაირად, უშეცდომოდ, ურთიერთგაგებით ამოქმედდა დინამოელთა ყველა რგოლი და ინიციატივაც მათ მხარეს გადავიდა.

როსტოველებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ, იგრძნეს რა თბილისელთა ტალღისებური შეუნელებელი იერიშების ძალა, მთელი ძალები დაცვაში გადაისროლეს, წინ დატოვეს სამი თავდამსხმელი, რომელთა მხარდაჭერას მხოლოდ დროდადრო ცდილობდნენ ფორვარდები. შეხვედრის უკვე 23-ე წუთზე მომწიფდა გოლი. ლამაზი კომბინაციის შემდეგ ბარქაიას ძლიერად დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა ივანოვს და მოედანს დაუბრუნდა, რომელსაც მოუსწრო დიდი სისწრაფით წინ გაჭრილმა გ. სიჭინავამ, მაგრამ სწორედ გადამწყვეტ მომენტში დაეცა.

შესვენებამდე 8 წუთით ადრე იერიშებით გართულ თბილისელებს “გაეპარათ” ესკოვი, მაგრამ წააწყდა რა მცველთა კედელს, მოულოდნელად ხელი აიღო კართან მიახლოებაზე და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

მარცხს არსებითი გავლენა არ მოუხდენია სტუმრების თამაშზე. წარუმატებლობას დინამოელებმა ტემპის გაზრდით უპასუხეს და ამ მომენტიდან მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. ისინი თამაშობდნენ აკადემიურად, კომბინაციურად.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან ისინი არ მოშორებიან როსტოველთა ნახევარს. მე-12 წუთზე მესხმა შესანიშნავი რეიდი კარის გასწვრივ ჩაწოდებით დაამთავრა, ხოლო დათუნაშვილს ისღა დარჩა თავით გაეთანაბრებინა ანგარიში. 1:1.

მეკარე ივანოვის თამაშში თავი იჩინა დაბნეულობამ, დაირღვა ურთიერთმოქმედება როსტოველთა დაცვაში, მწვრთნელმა მდგომარეობის გამოსწორება ივანოვის ნაცვლად გლუხოტკოს გამოყვანით ცადა, მაგრამ ამაოდ. მე-19 წუთზე კარიდან გამოსულ გლუხოტკოს გვერდი აუარა მეტრეველმა და ბურთი კარში გაგზავნა. მასპინძლები აშკარა გოლს ამჯერად მცველმა ჩერტკოვმა გადაარჩინა. ახლა

ისინი ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე თბილისელთა კარის იერიშებით, თუმცა დროდადრო ახერხებდნენ სტუმრების დაცვის შევიწროებასაც, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდნენ კოტრიკაძე და ჩვენი მცველები.

მატჩის ბედი გადაწყდა მეორე ნახევრის 31-ე წუთზე. მეტრეველისაგან ბურთი მიიღო ბარქაიამ, რომელმაც იგი როსტოველთა საჯარიმო მოედანზე "დაკიდა", ბურს პირველმა მიუსწრო აქ დიდი სისწრაფით შეჭრილმა გ. სიჭინავამ და ძლიერი თავური დარტყმით გლუხოტკო აიძულა გაეზიარებინა თავისივე კოლეგის ივანოვის ბედი - ბურთი გამოეტანა ბადიდან.

ეს იყო გადამწყვეტი გოლი. როსტოველებმა ფარ-ხმალი დაყარეს, შეურიგდნენ დამარცხებას, რამაც დინამოელებს კიდევ უფრო გაუხსნა ხელ-ფეხი, მაგრამ ანგარიში არ გაზრდილა.

ძნელია გამარჯვებული გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა. ყველა იბრძოდა ერთისთვის, ერთი ყველასათვის და აი, თავდაუზოგავმა, ენერგიულმა, მონდომებულმა თამაშმა "დინამოს" მოუპოვა მეტად საჭირო ორი ქულა.

ნ. გუგუშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).

"ლელო", 17 სექტემბერი, 1964 წ.